გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება № 149

2023 წლის 11 აგვისტო
ქ. გორი

„ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახების (13 ოჯახი) წყალარინების ქსელზე მიერთების საფასურის გადასახდელად ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 იანვრის №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 იანვრის №16 განკარგულებით დამტკიცებული იქნა ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახების (13 ოჯახი) წყალარინების ქსელზე მიერთების საფასურის გადასახდელად ფინანსური დახმარების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის მიხედვით უნდა განხორციელებულყო ქ. გორში მეჯვრისხევის ბარაკი №2 დასახლებაში მცხოვრები 13 ოჯახის დახმარება. პროგრამის განხორციელებისათვის გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებელი იქნა 12350 (თორმეტი ათას სამას ორმოცდაათი) ლარი. მოქალაქეთა მიერ წყალმომარაგების კომპანიიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით გორის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ცნობილი გახდა, რომ პროგრამით გავალისწინებული თანხა არ არის საკმარისი წყალარინების სისტემის მოსაწყობად. წყალარინების სისტემაზე მომხმარებლის მიერთების საფასური შეადგენს 1500 ლარს. მაცხოვრებელთა ნაწილი რეგისტრირებულია საოციალურად დაუცველ მონაცემთა ბაზაში და ფინანსური პრობლემების გამო ვერ ახერხებს ქსელზე მიერთების საფასურის გადახდას. მოსახლეობის მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერია და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მითითებულ ფაქტებს ანგარიშგასაწევ სოციალურ/სამართლებრივ გარემოებად თვლის და მიზანშეწონილად მიაჩნია შევიდეც ცვლილება გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 იანვრის №16 განკარგულებაში და დამტკიცებული პროგრამის ბიუჯეტი ნაცვლად 12350 (თორმეტი ათას სამას ორმოცდაათი) ლარისა განისაზღვროს 19500 (ცხრამეტი ათას ხუთასი) ლარით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახების (13 ოჯახი) წყალარინების ქსელზე მიერეთების საფასურის გადასახდელად ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 იანვრის №16 განკარგულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით .

ბ) განკარგულების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დამტკიცებულმა პროგრამამ საერთო ბიუჯეტით შეადგინოს 19500 (ცხრამეტი ათას ხუთასი) ლარი, რომელიც დაფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან (ორგანიზაციული კოდი 02 03 04);

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი №1

ქ. გორში მეჯვრისხევის ბარაკი №2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახების წყალარინების ქსელზე მიერთების ფინანსური დახმარების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

1.1 ამ პროგრამის მიზანია ,,სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის გათვალისწინებით, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა და ქ. გორში, მეჯვისხევის ბარაკი №2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახებისათვის წყალარინების ქსელის მოწყობის უზრუნველსაყოფად თითოეულ ოჯახზე 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით დახმარების გაცემა.

1.2. პროგრამით დაკმაყოფილდებიან ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახები, რომლებსაც არ აქვთ წყალარინების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების და აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის გადახდის შესაძლებლობა.

მუხლი 2. პროგრამის სახე და ბენეფიციართა განსაზღვრა

2.1 პროგრამის სახეა ფულადი სოციალური დახმარება;

2.2 პროგრამაში ბენეფიციარები არიან ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №2 დასახლებაში მცხოვრები 13 ოჯახი, რომლებსაც არ აქვთ წყალარინების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების და აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის გადახდის შესაძლებლობა. ბენეფიციარების იდენტიფიცირება და დაფინანსება ხორციელდება წმინდაწყლის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 3. პროგრამისათვის საჭირო რესურსები და პროგრამის ბიუჯეტი

3.1 პროგრამის განხორციელებისათვის გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გასათვალისწინებელი ხარჯების მაქსიმალური მოცულობაა **19500 (ცხრამეტი ათას ხუთასი)** ლარი.

3.2 წარმოდგენილი ფინანსური დახმარება მოიცავს ერთჯერად 1500 (ათას ხუთასი) ლარს თითოეულ ბენეფიციარზე.

3.3 პროგრამის დაფინანსების წყაროა გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროგრამული კოდი 02 03 04)

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების ადგილი და ღონისძიებები

პროგრამით გათვალისწინებული ფინანსური დახმარება განხორციელდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ანგარიშზე გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანხის ჩარიცხვის გზით, უნაღდო ანგარიშსწორებით მეშვეობით.

მუხლი 5. პროგრამის ხანგრძლიობა

პროგრამა დაიწყება 2023 წლის სექტემბერის თვეში და დასრულდება 2023 წლის ბოლომდე.